

სოფლის მასწავლებელთა კრების ზოგიერთ გადაწყვეტილებაზე

(წერილი რედაქტორთან)

მეტად უთავბოლოთ, უსაფუძვლოთ და მოუაზრებლად წავიდა საქმე ჩვენი სოფლის შკოლების მასწავლებელთა პირველი კრებისა.

ვისაც კი ესმის, თუ რა ძვირფასი საუნჯეა ხალხის განათლება, ყველა სიხარულით მიეგება ამ ახალ მოვლენასა და იმედულობდა, რომ კრება კეთილს და ჭეშმარიტს გზაზე დააყენებდა ახალ დაბადებულ სოფლის შკოლასა. მაგრამ საქმეს ხელი ეცრება და იგი სამწუხაროთ უკან ბრუნდება.

ამდენს მისვლა-მოსვლაში, ლაპარაკში, სხდომებში, ხმების მოკრებაში, სამაგალითო გაკვეთილების მიცემაში კაცი ხედავს მხოლოდ ერთად-ერთ ნათელს წერტილს: ეს ნათელი წერტილი გახლავთ უფ. დირექტორის სტრუქტურის კატეგორიულად, გადაჭრით წარმოთქმული სიტყვები, რომ აქამდინაც სასოფლო შკოლებში სწავლა ქართულ ენაზე მიდიოდა და შემდგომში აცასე უნდა წავიდეს. სხვა მხრივ კი კაცი სანუგეშოს ვერასა ჰპოვებს.

ავიღოთ თუნდა გადაწყვეტილება კრებისა შესახებ შკოლის კურსის სიგრძისა, რომელიც შეადგენს უმთავრეს მხარეს საგნისასა.

კრებას სამი წელიწადი გაუმწესებია შკოლის კურსის შესრულებისათვის¹. რა უნდა შეისწავლოს ბავშვმა და ისიც სოფელმა ამ მოკლე ხნის განმავლობაში! ევროპაში სამ წელიწადს მხოლოდ მაშინა სდებენ, როცა შკოლის დანიშნულებას საზღვრავენ წერა-კითხვის სწავლითა. თუკი შკოლის პროგრამა ცოტადნათ სრულია და შეიცავს ელემენტარულ საგნებსაცა, მაშინ შკოლაში სწავლა გრძელდება ოთხსა, ხუთსა და ექვსა წელიწადსა. თუ ეს ასეა ევროპაში, სადაც სწავლას გამოვრებით უფრო ნაკლები დამაბრკოლებელი მიზეზები უტყვრებიან, ჩვენში ხომ უფრო საჭირო უნდა იყოს ხანგრძლივი ყოფნა ბავშვებისა შკოლის გავლენის ქვეშა?

შორსაც რომ არ წავიდეთ, ჩვენ ცხვირ წინაცა გვაქვს ერთი შესანიშნავი და თვალის ამხელი მაგალითი. ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას აქვს კავკასიაში ბლომი რიცხვი თავის შკოლებისა, სადაც სწავლა გრძელდება ოთხსა და ხუთ წელიწადსა; ამასთან ამ შკოლებს ჰყავთ სპეციალურად მომზადებული მასწავლებლები და იგინი არიან ჩინებულად გამართულნი ყოვლის მხრით, მაგრამ ნაყოფი კი ძალიან მცირე და ფუქსავატი გამოაქვთ.

მაშ რა კეთილს უნდა მოველოდეთ ჩვენი უბრალო შკოლებიდგანა, რომელთაც არც სპეციალისტები ეყოლებათ ხელმძღვანელებათ და პატრონებათ, მოწყობილობა და

¹ მასწავლებელთა კრებამ ჯერ, მართალია სამი წელიწადი დანიშნა შკოლებში სწავლის ვადით, მაგრამ მერე შესცვალეს და ოთხი წელიწადი დანიშნეს. თუმცა ეს ასეა. მაგრამ ჩვენ მაინც ვტოვებთ ამ წერილში სამი წლის კურსის წინააღმდეგ მოყვანილ საინტერესო მოსაზრებებს ავტორისას (გაზ. „დროების“ რედაქციის შენიშვნა)

ნივთიერებით სახსნარი აკლდებათ და ამასთან სამი წლით იქნება მათი კურსი განსაზღვრული?!

მართალია, ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების შკოლების წარმატებას საშინლად უშლის ის გარემოება, რომ ახირებულად ჯიუტობის გამო სამშობლოს ენას სრულიად არ ასწავლიან მათში და არც შკოლის სწავლის გადასაცემ სახსრათა ხმარობენ: მაგრამ ჩვენი შკოლები მაინც უკეთესს ნაყოფს მხოლოდ მაშინ გამოიღებენ, როცა სამშობლოს ენის სუფევის გარდა, მათ ექნებათ ხანგრძლივი კურსი, არა ნაკლებ ოთხი წლისა.

უფ.დირექტორმა პიროვნად მოინდომა სამ-სამი წლის კურსი და სასწორს უკუღმა დააძლევინა უსათუოდ რუსეთის შკოლების წაბადვითა.

რუსეთში დიახ სამი წლის კურსი გახლავთ დაწესებული სასოფლო შკოლებისათვის, მაგრამ ჯერ ერთი ესა, რომ ამ შკოლებს მეტათ საცოდავი ნაყოფი მოაქვთ, ასე რომ დიდი ხანია ხმამაღალი დრტვინვა ისმის მათზედ საზოგადოების მხრივა, და მეორე ისა, რომ რუსეთში ბავშვები თავისი ენის გარდა არა ენასა არა სწავლობენ; ჩვენში კი მოწაფეთ უნდა ღვარონ ოფლი სახელმწიფო, რუსული ენის სწავლაშიაც, რითაც თითქმის ერთიორად მძიმდება ტვირთი სწავლისა.

ცხადია, რომ თუ რუსეთის შკოლების ნაყოფი არის საცოდავი სამი წლის კურსის წყალობით, ჩვენში უეჭველად მივიღებთ ორჯერ უფრო კიდეც საცოდავსა, ანუ უსაცოდავეს ნაყოფსა და განა ეს არ იქნება წყალში გადაყრა იმ ოფლით ნაამაგევი ფულისა, რომლითაც გლეხებმა უნდა გამართონ და აწარმოონ შკოლები?!

ყველაზედ გასაოცარი ის არის, რომ სამი წლის კურსს ამწესებენ და პროგრამას კი ვეებერთელას, უშველებელს ადგენენ. ელემენტარული არითმეტიკით და საღვთო ისტორიით როდი ჯერდებიან. ჩვენი პედაგოგების ჰაზრით, სამს წელიწადს ბავშვებმა უნდა შეითვისონ მრავალი საგნის ნაწყვეტები: ისტორიისა, გეოგრაფიისა, ბუნებითი საგნებისა, სასოფლო მმართველობის კანონები და კიდეც სხვა რამეები. ერთი სიტყვით ჩვენ განმანათლებლებს სურთ აქლემი გააძრინონ ნემსის კუნწში, რვა-ცხრა წლის ბაღანები ენციკლოპედისტებათ გახადონ.

ისეთი არაფერი უთხელებს ბავშვს ტვინსა, უსუსტებს გონებასა და უუძღურებს ჰაზროვნებასა, როგორც საგნების კენწეროების ტოტინი და მეტადრე მრავალი საგნებისა. ნეკერაობა სამართლიანად ითვლება გონების გამაფუქსავატებელ და დამამხობელ მიზეზად როგორც დიდებისათვის, ისე ბავშვებისათვის. და ჩვენი პედაგოგები კი ამ ნეკერაობას აუცილებელ სენათა ხდიან სახალხო შკოლებისათვის!

გლეხები თავის შვილებს სამ წელიწადზედ მეტს არ დააყენებენ შკოლაშიო, იმართლებენ თავსა წევრნი კრებისანი. დააყენებენ ოთხსა და ხუთსაცა, თუ დაანახვეთ, რომ მათი შვილები შკოლის წყალობით წარმატებაში შედიან როგორც გონებითა ისე ზნეობითა. და თუ ამკარად შენიშნავენ რომ სამი წლის ნეკერაობით რეტიან ინდოურებს ემზგავსებიან სამ წელიწადსა კი არა, სამ დღესაც არ მოაცდენენ.

ოთხი წელიწადი რომ დავდვით, ყველა შკოლა ოთხ-განყოფილებიანი შეიქნება და მასწავლებლებს ძალიან გაუძნელდებათ ხეირანად სწავლის წაყვანაო. ეს, მართლა, ნამდვილი დაბრკოლება არის, მაგრამ მას უებარი წამალიცა აქვს: ბავშვების მიღება შკოლებში უნდა იქნეს არა ყოველ წლივ, არამედ ორ წელიწადში ერთხელ. ეს წესი უწინ ბევრს ქვეყანაში ყოფილა და ეხლაც არის და არსად ბოროტი შედეგი არ მოუტანია თანა. ღონისძიება ესე მითია ძალიან სასარგებლო, რომ მოუმზადებელ მასწავლებლების ყოლაც კი არ უშლის კურსის გაგრძელებასა და მაგივრად სამი განყოფილებისა, რომელთა ერთს დროს ვარჯიშობა მასწავლებელთ გაუჭირდებათ, შკოლაში ჩნდება მარტო ორი განყოფილება; ამითი საქმე მასწავლებელს უადვილდება, შკოლის ჩარხი უფრო სწრაფად ტრიალებს და მოწაფეთა წარმატება უფრო მტკიცე კვალს ადგება.

აგრეთვე უკუღმართად და მოუაზრებლად მიდის საგნების პროგრამების შედგენა. ავიღოთ, მაგალითად, საღვთო ისტორიის პროგრამა. სჯამ ამ საქმის შესახებ ცხადათ აღმოაჩინა, რომ თითქმის არავის არ ესმის ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ძველი აღთქმის მოთხრობათ აქვთ ბავშვების აღზრდაში.

ზნეობითი პრინციპებით ძველი აღთქმა, რასაკვირველია, დაბლა სდგას ახალ აღთქმაზედა; მაგრამ სამაგიეროთ იგი წარმოგვიდგენს ვრცელსა ეპოპეიას მთელი ხალხისასა, რელიგიურს სამოქალაქო დრამმასა, სადაც მოქმედობს მთელი ხალხი, სადაც წმინდა სიყვარული ღვთისა და ერისა შეკავშირებულია მჭიდროდ და სადაც ყველა ნაბიჯის წარდგმაზედ მოქმედობს კერძო პირების თავდადებულობა ღვთისა და ერის სადიდებლად. ამასთან ამ ეპოპეიას აქვს იმისთანა მარტივი, პატრიარხალური ხასიათი და ისეთი მიმზიდველ ფორმაში არის განხორციელებული, ჩამოსხმული, რომ საგანგებოთაც ვერ მოიგონებს კაცი ასეთ სრულიად საყმაწვილო ამბებსა. ვის არ ახსოვს თავის ბავშვობის დროიდგან, თუ რა ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდნენ და როგორ ხვდებოდნენ გულსა მოთხრობანი, მაგალითად, იოსებისა და მოსესი, რომელთა ცხოვრებაში რელიგიური, ხალხური პიროვანი სათნოებანი ისე კაშკაშობენ, როგორც, მოწმენდილ ცაზედ ვარსკვლავნი.

აღმზრდელობითი მნიშვნელობა ძველი აღთქმის მოთხრობებისა განათლებულ ქვეყნებში დიდი ხანია აღიარებულია. თუ როგორ სარგებლობენ იქ ძველი აღთქმის ამბებით ბავშვის გულში უანგარეობის ღვთისა და ერის მოყვარეობის ჩასანერგათ - ცხადად დაინახავს მკითხველი შემდეგის პაწაწინა ნაწყვეტიდან, რომელიც ჩვენ მოგვყავს ერთი უცხო ენის გამოცემიდგან: „ ბედნიერ მდგომარეობაში ჩავარდა ყმაწვილი მოსე ფარაონის სასახლეში. რასაც კი გულით ინატრებდა, იმის ხელქვევით იყო, რადგანაც ყველას ისე ჰყავდა მიჩნეული, როგორც ნამდვილი შვილი მეფისა. ამისთანა მდგომარეობაში სხვა უიმისო მიეცემოდა განცხრომით ცხოვრებასა, შეიქმნებოდა გულგრილი და ზურგს შეაქცევდა თავის ღმერთსა, თავის სარწმუნოებასა და თავის ხალხსა.

„მაგრამ მოსე სრულიად ასე მოიქცა, იმას დედი-ძუმუსთანავე ჰქონდა ჩანერგილი გულში მხურვალე სიყვარული თავისი ღმერთისა და ერისა, მათი დიდება იყო უმთავრესი, პირველი საგანი ყმაწვილი მოსეს ფიქრისა.

„ამასთან მან კარგად იცოდა, რომ უსწავლელი კაცი ვერ შეიძლებს ვერც ღვთის დიდებასა და ვერც თავის ხალხის რეგებასა და სამსახურსა. ამიტომ მოსე ძალიან ბეჯითი იყო სწავლაში. რაც კი მაშინდელმა ეგვიპტელებმა იცოდნენ, ყველაფერი მშვენივრად შეისწავლა და მტკიცედ შეითვისა. იგი საფუძვლიანად, გულმოდგინედ ემზადებოდა თავისი მომავალი მოქმედებისათვის“.

ჩვენ ძალიან გვაკვირვებს ის შემთხვევა, რომ ამ გვარს ჰაზრებს ქადაგებს ივანე როსტომაშვილი, რომელიც ჩვენში აქამდის ითვლებოდა სასოფლო შკოლების პირველ მასწავლებლად. რა დაემართა? ქებამ ხომ არ აწყინა? და თუ არასფერს არ უწყენია, მაშ რათ ესარჩლება ყოველ-გვარ წინადადებასა, რომელიც შეუძლებლათა ხდის სწორე და მტკიცე გზაზე დაყენებას ჩვენი სასოფლო შკოლისასა! სამი წლის კურსის ადვოკატადაც იგი გამოსულა. იცის რა მოსდევს სამი წლის კურსსა და რისთვისა სურთ ზოგიერთა ვაჟ-ბატონებს ასეთი მოკლე ხანი სწავლისა? იმისათვის, რომ ყოვლად შეუძლებელი გახადონ საგნების სწავლა შკოლებში, მათი კურსი უკანასკნელ მინიმუმადის მიიყვანონ, საქმე მხოლოდ ქართულ-რუსული წერა-კითხვით გაათაონ და ხალხის განათლება უშინაარსო სიტყვად გადააქციონ. ნუ თუ ეს ძნელი მისახვედრია? სამი წლის კურსს ორში ერთი მოსდევს: ან რუსული ენის სწავლა უნდა მოისპოს, ან საგნებისა. რადგანაც პირველის გაუქმებას არავინ არ დასთანხმდება, საგნები გახდებიან მსხვერპლათა და მაშინ ის ერთად-ერთი ნათელი წერტილიც, რომელიც ამ შენიშვნის თავში მოვიხსენეთ, გაქრება სრულიად; რადგანაც საგნების სწავლა არ იქნება ჩვენს შკოლებში, მათ გადასაცემად არც ქართული ენა დასჭირდებათ და ხელში შეგვრჩება შესწავლა უბრალო- წერა-კითხვისა, რომელიც ჭკუის გაუხსნელად ჩვენ ყმაწვილებს ვნების მეტს, არას მოუტანს: მათი გაუღვიძებელი და სწორე გზაზე დაუყენებელი გონება თავის საზრდოს მოსძებნის „ყარამანიანის“, „დავრიშიანის“, ყასუმოვის, გივიშვილის ლექსების და სხვა ჰაზრის-გამრყენელი წიგნების კითხვაში და ამ სახით ხალხის განათლება გვექცევა ხალხის დაბნელებათა. ამ შედეგისათვის ცდილობს ჩვენი პედაგოგების პირველი კრება?

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

პაოლო იაშვილის სახელობის, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის მოსწავლემ **სალომე გაფრინდაშვილმა**.

3 აპრილი, 2020 წელი

#დარჩისახლში